



მმართველობის ტიპის ცვლილება და პერსონალიზაციის ტენდენციები  
საქართველოში  
მამუკა ლატარია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტზე პოლიტიკის  
მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## **განაცხადი**

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*მამუკა ლატარია 08.02.2022*

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია პერსონალიზაციის საკითხი პოლიტიკაში, რომელიც აკადემიური წრეებისთვის მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენს. პერსონალიზაცია იმდენივე წლისაა, რამდენიც თავად პოლიტიკა და, მარტივად რომ ვთქვათ, გულისხმობს თანამდებობის პირების ხელთ არსებული ძალაუფლების მაღალ ხარისხსა და მის კონსოლიდაციას ერთი პირის ან ვიწრო პირთა წრის გარშემო. ნაშრომში ასევე წარმოჩენილია, თუ როგორ გავლენას ახდენს შიდაპარტიული დემოკრატიზაციის ზრდასა და პერსონალიზაციის ხარისხზე ინსტიტუციური ზემოქმედება.

საქართველოს დემოკრატიული გამოცდილება საკმაოდ მწირია, ამასთან პოსტკომუნისტური (პოსტსაბჭოთა) წარსული ნეგატიურ გამოვლინებებს ჰპოვებს მისი განვითარების ყოველ ნაბიჯზე. უახლესი ისტორიის პერიოდში განხორციელებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა კი ქართული დემოკრატია საკმაოდ არაერთგვაროვანი გახადა. კერძოდ, საპრეზიდენტო მმართველობის საპრალამენტოთი ჩანაცვლება, პრეზიდენტის როგორც ერთპიროვნული მმართველის ძალაუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ამ იდეალების მიუხედავად, ძალაუფლების დაყოფის პრინციპი და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა, კვლავ აქტუალურ და ამასთან პრობლემურ თემებად რჩება. პარტიულ თუ ბიუროკრატიულ სიბრტყეებზე ძალაუფლება კვლავ კონკრეტული პერსონების ხელში არის კონცენტრირებული.

საკვანძო სიტყვები: პერსონალიზაცია, ინსტიტუციონალიზაცია, ძალაუფლების კონცენტრაცია.

## ***Abstract***

This paper proposes a framework for examining the personalization of politics, a subject of ongoing scholarly interest. Personalization is as old as politics itself. It is concerned with the nature and scope of power held by officials and their entourage, as well as the extent to which these variables can be altered by positive institutional impact.

Preceded by a post-communist (post-Soviet) era, Georgia's democratic experience is rather immature. The adoption of a parliamentary system in place of presidential governance promised to have a positive influence on the state's role and function. Recent political changes, however, have hitherto failed to reinforce Georgia's democratic institutions or reverse personality ideology in politics.

The study suggests that positive expectations for the strengthening of Georgia's democratic institutions turned out illusory. Fundamental issues remain unresolved, including the principles of power-sharing and institutional independence. At both the party and bureaucratic levels, power remains concentrated in the hands of a few.

## მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, კერძოდ პოლიტიკის მეცნიერებების დეპარტამენტს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ნინო ფავლენიშვილს, რომელმაც საკვლევი თემისა და მეთოდოლოგიის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია.